

ლადო პაპავა:

“საქართველოს ჰოლანდიური დაავადების მუტანტი შეეყარა!”

გაზეთი “ვერსია”, 1-7 აგვისტო, № 10, 2007

ინტერვიუ ლადო პაპავასთან

– ხელისუფლება ამბობს, რომ ზოგჯერ რეფორმები ხალხზე მტკივნეულად აისახება. ამ ეტაპზე მოსახლეობას პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდა აწუხებს. ბოლო დროს პურის გაძვირებაც ვერ ავიცილეთ.

– მსოფლიო ბაზარზე ხორბალი გაძვირდა, რაც საქართველოში პურის ფასზეც აისახა, და რაც, რა თქმა უნდა, გასაგებია, მაგრამ ჩვენთვის პრობლემა არა მხოლოდ პურის გაძვირება, არამედ ფასების საერთო ზრდაა. არც ისე დიდი ხნის წინ ტრანსპორტიც გაძვირდა. გაზის ფასის ზრდასაც თავისი ახსნა აქვს, – რუსეთმა ტარიფი გაგვიძვირა, მაგრამ მთავარი არც ეს არის. ამ მიზეზების გარდა, წმინდა ქართული წარმომავლობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც არსებობს; ეს უკანასკნელი კი მთავრობის შეცდომებმა წარმოშვა.

შევთანხმდეთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის მცირე ნაწილი ვართ და საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესები ჩვენს ეკონომიკაზეც აისახება. ამის გარდა დღეს საქართველოს ეკონომიკა ჰოლანდიური დაავადებითაა ავად. ეს დაავადება 50-60-იან წლებში გაჩნდა, როდესაც ჰოლანდიის კუთვნილი ჩრდილოეთის ზღვის ნაწილში გაზის დიდი მარაგი აღმოაჩინეს და მისი ექსპორტით ქვეყანაში დიდი ოდენობის უცხოური ვალუტა შევიდა. ამან დოლარის გაუფასურება და ადგილობრივი ვალუტის გამყარება გამოიწვია, რაც უარყოფითად აისახა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალზე. მოგვიანებით ამ დაავადებამ მუტაცია განიცადა და სხვა ქვეყნებსაც მოედო. ყავის, კაუჩუკის ექსპორტით ან ტურიზმით განთქმულ ქვეყნებსაც ანალოგიური პრობლემა შეექმნათ. საქართველოსაც ჰოლანდიური დაავადების მუტანტი შეეყარა, რასაც ინფლაციასთან პირდაპირი კავშირი აქვს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კორუფციასთან ბრძოლის შედეგად ბევრი თანამდებობის პირი დააკავეს, რომლებმაც თავისუფლება შესაბამისი საფასურის

გადახდით მიიღეს. ბუნებრივია, მათ თანხა დოლარებში ჰქონდათ გადანახული, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ერთადერთი კანონიერი საგადასახდელი საშუალება ლარია, ამიტომ ბაზარზე დიდი ოდებობით დოლარი გადახურდავდა ლარში. ამის გარდა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხრიდან თანხების გადმორიცხვის მასშტაბიც გაიზარდა: 2000 და 2006 წლების მონაცემებს თუ შევადარებთ, მარტო საბანკო არხებით, ფულადი გზავნილების მოცულობა 5-ჯერ არის გაზრდილი. რამდენი შემოდის საბანკო არხების მიღმა ამის გაკონტროლება კი შეუძლებელია: სავარაუდოდ, ასეთი გზავნილების მოცულობაც მნიშვნელოვნად გაიზარდებოდა. „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოს დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი მოუტანა, რამაც პრივატიზაცია მიმზიდველი გახადა. ინვესტორებს დოლარები მოაქვთ, მაგრამ რადგანაც ქვეყანაში კანონიერი საგადასახდელი საშუალება ლარია, ეს დოლარებიც ლარში გადაიცვლება. უცხოური კაპიტალი საქართველოში პრივატიზაციის გარეშეც შემოდის, ესეც მნიშვნელოვანია. ამ ყველაფერმა დოლარის მასის ზრდა და მისი გაუფასურება, ხოლო ლარის გამყარება გამოიწვია. მყარი, ანუ ძვირი ლარით ექსპორტიორები ზარალდებიან, რადგან მათ ქვეყანაში შემოაქვთ დოლარი, რომელიც გაუფასურებულია. ასე რომ არ მოხდეს, ეროვნული ბანკი იძულებულია, ჭარბი დოლარი ბრუნვიდან ამოიღოს. ამას კი ლარის გაყიდვით ახერხებს. ლარის დამატებითი მასის ბრუნვაში გაშვება კი ინფლაციას იწვევს. ფასების ზრდის მიზეზიც ეს ჯაჭვია.

– ანუ ეს არ არის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომ ქართული ფასები მსოფლიო ფასების დონეს გაუთანაბრდეს?

– ეს რაც გითხარით ინფლაციის ობიექტური ფაქტორია. გარდა ამისა, ინფლაციურ პროცესებს მთავრობის არასწორი ხარჯვითი პოლიტიკაც უწყობს ხელს. ეს არის პრივატიზაციიდან მიღებული თანხების ქვეყნის შიდა ხარჯებისთვის გამოყენება, არამწარმოებლური ხარჯების დიდი ოდენობა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში რეალურ ეფექტს გრძელვადიან პერიოდში იძლევა, ხოლო მოკლევადიანში კი ინფლაციას უწყობს ხელს. საკამათო არაა, რომ გზების მშენებლობა აუცილებლად გვეჭირდება, თუმცა ამდენი შადრვენები, ატრაქციონები, კულტურული ღონისძიებები ინფლაციას აძლევს სტიმულს. არამწარმოებლური ხარჯების მაგალითად ასევე გამოდგება შარშნდელი დასაქმების პროგრამა, რომელშიც დახარჯული 20

მილიონი ლარიც ჰაერში გაისროლეს. უმუშევრებმა შესაბამისი სამუშაო ვერ შეასრულეს, ვერც შეასრულებდნენ, მაგრამ თითოეულმა სამ თვეში 450 ლარი მიიღო, რაც სამომხმარებლო ბაზარზე დაიხარჯა. ავიღოთ თუნდაც სტუდენტთა დასაქმების წლებანდელი საზაფხულო პროგრამა, რომელშიც ასევე უამრავი თანხა დაიხარჯება, რაც ასევე ინფლაციას უწყობს ხელს, რადგანაც რეალური ეკონომიკური შედეგი არ მოაქვს. სამწუხაროა, მაგრამ ინფლაციურ პროცესებში ყველაზე მეტად მთავრობა სცოდავს.

– ყველაზე მეტად მაინც ხალხი ზარალდება, გამოდის, რომ მთავრობას საკუთარი მოსახლეობის ბედი არ აინტერესებს?

– საკითხი ვფიქრობ ასე არ დგას. შეცდომები გარკვეულწილად იმით არის განპირობებული, რომ მთავრობას სურვილი აქვს, რაც შეიძლება, კარგი საქმეები აკეთოს, მაგრამ კარგი რა არის, ბოლომდე გააზრებული არ აქვს. მას ჰგონია, რომ შადრევნები და ატრაქციონები კარგია. ეს ბავშვებისთვის მართლაც სახალისოა, მაგრამ შადრევანი, რომელიც მთელი ზამთარი ჩართულია, ინფლაციის ხელშემწყობ ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება.

– მთავრობა ასე რატომ იქცევა?

– შესაძლოა ეს არაპროფესიონალიზმის ან უსუსურობის ბრალი იყოს, როდესაც გამბედაობა არ ყოფნით, ზემდგომს აუხსნან, რომ ამისი გაკეთება არ შეიძლება.

– თქვენ, ერთ-ერთი საკმაოდ ავტორიტეტული ეკონომისტი ბრძანდებით და დღესაც სახელისუფლებო უმრავლესობის გუნდში ხართ. ამ ყველაფერზე მათთან არ საუბრობთ? მთავრობასთან ურთიერთობები ვერ აეწყო, თუ სხვა რამ ხდება?

– 2005 წელს ჩემი ინიციატივით პრეზიდენტთან ეკონომიკური საბჭო შეიქმნა. მასში ცხრა ეკონომისტია გაერთიანებული და საქართველოს პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. ეკონომიკური საბჭოს შექმნის მიზანი ქართველი ეკონომისტების მიერ პრეზიდენტისთვის მოსაზრებების მიწოდება უნდა ყოფილიყო. პრეზიდენტის ინიციატივით საბჭოს ინტენსიურად უნდა ემუშავა და თვეში ორჯერ მაინც შეკრებილიყო. პირველი შეხვედრა 2005 წლის მარტის შუა რიცხვებში გაიმართა. სამწუხაროდ, ეს სხდომა პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა. რატომ მოხდა ასე, შეფასება გამიჭირდება. გარკვეული დროით საქართველოში არ ვიყავი, თუმცა არც

იმ პერიოდში და არც ჩემი საქართველოში დაბრუნების შემდეგ საბჭო მაინც არ შეკრებილა.

– მიზეზის გარკვევა არავის უცდია?

– ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა. თუ ის ჩართვლის, რომ საბჭოსთან შეხვედრა და კონსულტაცია სჭირდება, დარწმუნებული ვარ, ყველა წევრი მზად იქნება, საკუთარი შეხედულება გაუზიაროს. რაც შეეხება ჩემს მოსაზრებებს, ყოველთვის ვამბობ იმას, რაშიც დარწმუნებული ვარ, ეს იქნება საპარლამენტო ტრიბუნა, საკომიტეტო მოსმენა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

– ბევრს ჰგონია, რომ პრეზიდენტი მარტ ლაარის რჩევებს ითვალისწინებს და ქართველი ეკონომისტები ამიტომ დაივიწყა...

– მარტ ლაარი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა, თუმცა ისტორიკოსია და მისი ცოდნა ეკონომიკაში საკმაოდ ზოგადია. არ მგონია, რომ ის ჩვენი პრეზიდენტის მრჩეველი იყოს ეკონომიკაში.

– არც ჩვენი პრეზიდენტია განათლებით ეკონომისტი და საგარეოდოდ გადაწყვეტილებებს ვიღაცის გავლენით იღებს...

– ერთი რამ შემიძლია გითხრა – ყველა ეკონომიკურ შეხვედრაზე, საქართველოში თუ უცხოეთში, მას მხოლოდ ერთი მინისტრი უმშვენებს გვერდს, რომლის შეუმჩნეველობა შეუძლებელია!

– ექსპერტები ხშირად ამბობენ, რომ სოციალური ფონის გაუარესებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში საკმაოდ საშიში ტენდენციებიც შეინიშნება და ეს პრივატიზაციის პროცესს უკავშირდება. მცირე ობიექტებსაც კი საეჭვო კომპანიები ყიდულობენ – მათი უმეტესობა ტენდერამდე რამდენიმე დღით ადრეა დაფუძნებული...

– ეს ერთობ მოძველებული თემაა. შარშან გაცხადდა, რომ ქართული ენერგობიექტები ჩეხურმა კომპანია “ენერგო-პრო“-მ იყიდა. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ასეულობით მილიონი დოლარის გადამხდელ (თუმცა სინამდვილეში ოთხჯერ ნაკლები გადაიხადა ვიდრე ჰქონდა გაცხადებული) კომპანიას ინტერნეტში ვებ-გვერდიც კი არ გააჩნდა. ასეთი მაგალითები ბევრია,

მაგრამ მინდა, ამ პროცესს მთლიანობაში შევხედოთ. როდესაც კომუნისტური რეჟიმი დაირღვა, რეალურდ მსაოფლიოში არავინ იცოდა, პრივატიზაცია როგორ უნდა წარმართულიყო, ამიტომ ბევრი შეცდომა იყო დაშვებული. ასე იყო ყველა პოსტ-კომუნისტურ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. სამოქალაქო დაპირისპირებამ და კონფლიქტებმა ქვეყნის მიმზიდველობის დონე კიდევ უფრო დასცა. უცხოელები ჩვენთან ფაქტობრივად, არ შემოდოდნენ. ერთადერთი მსხვილი ინვესტორი ამერიკული „ეი-ი-ესი“ იყო, რომელმაც იმ დროისთვის საკმაოდ ბევრი, 25 მილიონი დოლარი გადაიხადა. დღეს ეს თანხა სასაცილოდაც კი გამოიყურება. „ვარდების რევოლუციამ“ ჩვენი ქვეყნის იმიჯი პოზიტიურისაკენ შეცვალა, რამაც საქართველო „გააძვირა“. თუმცა შეგახსენებთ, პირველი პოსტ-რევოლუციური საპრივატიზაციო პროცესები როგორ გაიმართა. კანცელარიის სხვადასხვა სართულებზე მოათავსეს ინვესტორები. ჩვენი ჩინოვნიკები ოთახიდან ოთახში დარბოდნენ და ათანხმებდნენ, ვინ მეტს გადაიხდიდა. გადაწყვეტილებებს ღამის სამ-ოთხ საათზე იღებდნენ ისე, რომ ეს პროცედურები კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა. ერთადერთი დადებითი ეფექტი ის იყო, რომ მყიდველებმა უზარმაზარი თანხები გადაიხადეს. ნეგატიური კი ის, რომ პრივატიზაცია გაუმჭვირავადად ხდებოდა და რაც ყველაზე ცუდი იყო, წინა პლანზე წამოიწია რუსული კაპიტალის საკითხმა. კიდევ ერთი არასწორი მიდგომაა, ის, რომ ზოგჯერ გეუბნებიან, რომელიმე საწარმოს პრივატიზაცია მოვახდინეთო, მაგრამ სინამდვილეში ეს პრივატიზაცია არ არის. „თბილგაზი“ გაყიდეთ, მაგრამ ის ყაზახურმა სახელმწიფო კომპანიამ იყიდა, ანუ ერთი სახელმწიფოს ნაცვლად მეორე სახელმწიფო გახდა მისი მფლობელი.

– შეუძლებელია, ეკონომიკური გუნდი ვერ ხვდებოდეს, პრივატიზაცია როგორ ჩატაროს. ასეთი გადაწყვეტილებების მიზეზი რა არის?

– არ ვიცი, მარჩიელობას ვერ დავიწყებ... მე ფაქტების კონსტატაციას ვახდენ, და ვამბობ, რომ ეს პრივატიზაცია არ არის. არც ის ნაციონალიზაციის პროცესია მისაღები, რაც პოსტ-რევოლუციურ საქართველოში განხორციელდა, რომელიც სხვათა შორის, საქართველოს მთავრობამაც მოიწონა. მხედველობაში მაქვს „გაერთიანებული ქართული ბანკი“, რომელიც, საქართველოში სიდიდით მესამე, კერძო ბანკი იყო და მისი ნაციონალიზაცია რუსეთის სახელმწიფომ მოახდინა,

როდესაც რუსულმა სახელმწიფო ბანკმა – “ენეშტორბანკმა” შეისყიდა მისი საკონტროლო პაკეტი.

– რუსული და ყაზახური კაპიტალი რა საშიშროებას გვიქმნის?

– 2003 წლიდან რუსეთში საკმაოდ პოპულარული გახდა “ლიბერალური იმპერიის” შექმნის თემა, რომელიც ანატოლი ჩუბაისმა “გაახმოვანა”. რუსული სახელმწიფო კომპანიების მიერ დსთ-ს ქვეყნებში მსხვილი ობიექტების შეძენა სწორედ ამ გეგმის ნაწილია და სომხეთში ეს პროექტი უკვე განხორციელდა კიდევ. თუმცა სომხეთთან ერთიანი ეკონომიკური სივრცის შესაკრავად, საჭიროა, საქართველოსა და (ან) აზერბაიჯანის ამ იმპერიაში მოქცევა. ამ ეტაპზე სომხეთთან კონფლიქტის გამო აზერბაიჯანზე მუშაობა რთულია – რჩება საქართველო, რომლის რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში მოქცევის შემდეგ სხვა გზა აზერბაიჯანსაც აღარ დარჩება. ვარდების რევოლუციამდე რუსეთმა გაკოტრებული ამერიკული კომპანიისგან მოახერხა “თელასის” შესყიდვა, რევოლუციის შემდეგ კი არაერთი სხვა ობიექტიც ჩაიგდო ხელში. რუსები სხვადასხვა ქვეყნებში აფუძნებენ შვილობილ კომპანიებს და შემდეგ ამ ქვეყნების სახელით შემოდიან. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო ბოლო მაგალითი “ქეფითელ ვოსტოკ”-ია. რაც შეეხება ყაზახურ კაპიტალს, ცნობილია, რომ ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი ევრაზიული იმპერიის შექმნის ერთ-ერთი იდეოლოგია. ეს კი იგივეა, რაც რუსული იმპერია. დღეს საქართველოს ეკონომიკაში სახეზე გვყავს ამ ორი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა. მართალია, ბოლო დროს ფრანგები და ბრიტანელებიც გამოჩნდნენ, მაგრამ მთავარი მოთამაშეები მაინც რუსები და ყაზახები რჩებიან.

– ჩვენი ხელისუფლების განცხადებებიდან გამომდინარე, არავის ეტყობა, რომ რომელიმე იმპერიაში შესვლას აპირებდეს. ვერ ხედებიან რა ხდება?

– არც რუსული და არც ევრაზიული იმპერიის იდეა დამალული არ არის და ამაზე სხვადასხვა კონფერენციებზე ღიად საუბრობენ. გაიხსენეთ სომხეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის თემა, როდესაც ყველა მაღალი რანგის ჩინოვნიკი აცხადებდა, რომ მას „გაზპრომს“ ყიდნენ. ქართველმა ხალხმა მადლობა უნდა უთხრას ამერიკის მთავრობას, რომ ჩაერია და დღეს ეს საკითხი აქტუალური აღარ არის. რუსეთი თავის ზრახვებს არ მაღავდა. იცის კი ვინმემ

საქართველოს მთავრობა ამ გარიგებაზე რატომ მიდიოდა, სინამდვილეში გაზსადენს რატომ ყიდდა? ერთი თვის წინ ჩვენმა ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ „რაო-ე-ესი“ საქართველოში ექვს ახალ ჰიდროელექტროსადგურს ააშენებსო. როცა „ენგურჰესის“ პრივატიზებას ვაპირებდით, პირველი „რაო-ე-ესი“ გამოგვეხმაურა. როდესაც თქვეს, „ხუდონჰესის“ აშენებას ვაპირებთო, მაშინვე „რაო-ე-ესი“ გამოჩნდა. ნებისმიერი სტრატეგიული ობიექტის გაყიდვისას მყიდველი რუსული ან ყაზახური კომპანიაა. მათ კი საერთო ინტერესი აქვთ.

– **გამოდის, „ვარდების რევოლუცია“ საბჭოთა იმპერიაში შესასვლელად მოვაწყეთ?**

– არც ასე პესიმისტურად არის საქმე. თუმცა იმასაც ამბობენ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ერთი მხრივ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, მეორე მხრივ ჩვენი კარი რუსული კაპიტალისტების დიაა. რუსეთი საკუთარ ბაზარზე ქართულ ღვინოს ემბარგოს უწესებს, იმავე პერიოდში რუსული კომპანია საქართველოში ღვინის წარმოებას იწყებს – ხომ კარგია?

– **საქართველოს ხელისუფლებაზე რუსული აგენტურა მუშაობს?**

– არ მინდა, სახელმწიფო მოხელეთა პარტიოტიზმში ეჭვი შევიტანო, მაგრამ როგორც ჩანს პარტიოტიზმი ყველას სხვადასხვანაირად ესმის. იმ ჩინოვნიკთა საქციელის კომენტირება, რომლებიც რუსულ-ყაზახურ საფრთხეზე თვალს ხუჭვენ, ძალიან მიჭირს.

– **შესამჩნევია, რომ ყველაფრის მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციები ბოლო დროს ნაკლებად გვაკრიტიკებენ...**

– აბსოლუტურად შოკირებული ვარ საქართველოში მათი საქმიანობით. იყო დრო, როდესაც სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი საკმაოდ მნიშვნელოვან, ხშირად პოზიტიურ როლს ასრულებდნენ, თუმცა შეცდომებსაც უშვებდნენ. როდესაც 2006 წელს საქართველოს მთავრობამ ეროვნული ბანკის დანგრევა გადაწყვიტა, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ხმა არ ამოუღია. მხოლოდ მაშინ გააკეთა განცხადება, როდესაც 2006 წლის ივლისში მთავრობას გაეპარა და ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი გამოაქვეყნა. ამას სტატისტიკის დეპარტამენტის შეფის გამოცვლა მოჰყვა და ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებელიც კლებისკენ წავიდა. ფონდის გარდა ქვეყანაში ამ სტატისტიკის არავის სჯერა. სავალუტო ფონდი

საქართველოს მთავრობის მიმართ საკმაოდ ლოიალურია და მის ინფორმაციას ეჭვქვეშ არ აყენებს. არაფერს ამბობს ფარულ ინფლაციაზე, დუმს ეროვნული ბანკის ნგრევის გეგმაზე, რომელზეც ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით დღესაც მიმდინარეობს მუშაობა...

– მიზეზი რა არის?

– მიზეზი რა იყო, როდესაც ანტიმონოპოლიური თუ სურსათის უვნებლობის კონტროლის სამსახურები დაინგრა? ვფიქრობ, მიზეზი რეფორმების სახელით საქართველოს სახელმწიფოს ნგრევაა და ამას ვინც ახორციელებს, ყველამ კარგად იცის – ცნობილი “კოლექტივის თავმჯდომარის” არ იყოს, გვარს ნუ დამასახელებინებთ.

– ამის მიუხედავად დადებითი ტენდენციებიც შეინიშნება თქვენი შეფასებით ბოლო წლების მანძილზე კარგი რა მოხდა ქვეყანაში?

– ბევრი რამ. სიბნელეში რომ აღარ ვსხედვართ, ეს ყველაზე ხელშესახებია. მართალია გაძვირებული, მაგრამ გაზი მაინც გვაქვს. ჩვენი ლექსიკონიდან ამოვარდა ტერმინი ბიუჯეტის სეკვესტრი. საგახდასახადო შემოსავლების მოცულობა გასამმაგდა – ეს ზალზედ დიდი მიღწევაა. მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ პენსიები იზრდება და რაც მთავარია დროულად გაიცემა. განსაკუთრებით მომწონს ის, რომ ბიზნესის დაწყება გამარტივდა. საგადასახადო კოდექსი შეიცვალა, გადასახადების ოდენობა შემცირდა. აღრიცხვიანობა შედარებით მოწესრიგდა, თუმცა სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე ზოგიერთი ღონისძიების გატარებას, მაგალითად, სალარო აპარატების დადგმას ნამდვილად არ ვიჩქარებდი.